ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია
ფაზისის აკადემია

თამაზ ობგაძე

მე მხოლოდ სიყვარულის მჯერა
მე მხოლოდ სიყვარული მწამს

სიმღერები გულიდან

თბილისი
2024

UDC (უაკ) 821.3531 - 1

ო – 125

წიგნი წარმოადგენს ლექსების კრებულს, რომელიც ჩემი მთელი სამოცდაათწლიანი ცხოვრების პროცესში იწერებოდა. აქ თავმოყრილია ჩემი განცდები და ფიქრები, ოცნებები და მოწოდებები. ლექსის ფორმა ყველაზე უფრო მიზანშეწონილის, იმ ემოციური ფონის გადმოსაცემად, რაც ჩემი ცხოვრების პროცესში განმიცდია.

ამ ლექსთა კრებულით, მე მინდოდა მოვფერებოდი ჩემს საყვარელ ადამიანებს; სამშობლოს, რომელიც ჩემთვის ქსნის ხეობით იწყება და არა თავდება; იმ ეროვნულ გმირებს, რომელთა გვერდზეც მომიწია ბრძოლა და ცხოვრება; იმ უდიდეს ეროვნულ სიმდიდრეს, რაც უფალმა გვიბოძა ქართული ენისა და მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგიის სახით.

რეცენზენტი: ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი თემურ ჩილაჩავა

საგამომცემლო სახლი "ტექნიკური უნივერსიტეტი", 2024

ISBN 978-9941-8 –6966-2

c

ყველა საავტორო უფლება დაცულია. ამ წიგნის ნებისმიერი ნაწილის (ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არცერთი ფორმით და საშუალებით (ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება, გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე. საავტორო უფლების დარღვევა ისჯება კანონით.

ეძღვნება ჩემი უდიდესი მასწავლებლების

ეროვნული გმირების:

ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას

ნათელ ხსოვნას

წინასიტყვაობა

წინამდებარე ლექსების კრებული წარმოადგენს, ჩემი მთელი სამოცდაათწლიანი ცხოვრების პროცესში, განცდილი და გულში გამოტარებული ემოციების ნაყოფს და შესაბამისად, იწერებოდა ამ დროის განმავლობაში. აქ თავმოყრილია ჩემი განცდები და ფიქრები, ოცნებები და მოწოდებები.

მე თავს პოეტად არასოდეს ვთვლიდი, რადგან მათემატიკოსად, ფიზიკოსად, ეკონომისტად და ფილოსოფოსად მიმაჩნდა ყოველთვის ჩემი თავი, თუმცა, ლექსის ფორმა ყველაზე უფრო მიზანშეწონილია, იმ ემოციური ფონის გადმოსაცემად, რაც ჩემი ცხოვრების პროცესში განმიცდია.

ამ ლექსთა კრებულით, მე მინდოდა მოვფერებოდი ჩემს საყვარელ ადამიანებს; სამშობლოს, რომელიც ჩემთვის ქსნის ხეობით იწყება და არა თავდება; იმ ეროვნულ გმირებს, რომელთა გვერდზეც მომიწია ბრძოლა და ცხოვრება; იმ უდიდეს ეროვნულ სიმდიდრეს, რაც უფალმა გვიბოძა ქართული ენისა და მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების სახით.

წიგნი იწყება ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ლექსით „ყველაფერი კარგად იქნება!“. შემდეგ, მოყვება ჩემი ლექსები.

იმედი მაქვს, მკითხველი არ ჩამითვლის ამას მკრეხელობად, მითუმეტეს, რომ ჩემი მთელი ცხოვრება პატრიარქის მიმართ მოწიწებული დამოკიდებულებით გავატარე. მადლობელი ვარ უფლის, რომ სწორედ ჩვენი პატრიარქის ეპოქაში მომიწია ცხოვრება.

დალოცოს უფალმა პატრიარქი და სრულიად საქართველო. გწყალობდეთ უფალი ჩემო ძვირფასო ქართველებო.

ილია II - ყველაფერი კარგად იქნება!

ნუ დაეცემი სულს ნუ იტანჯავ;
ტანჯვა ყოველთვის ფიქრით იწყება
იფიქრე კარგი და დაინახავ, რომ
ყველაფერი კარგად იქნება.

როგორც ისწავლი სამყაროს ხედვას,
შენიც ცხოვრებაც ისე იქნება.
გულს ნუ გაიტეხ, გწამდეს უფლის
და ყველაფერი კარგად იქნება.

ტყუილ–უბრალოდ შიში და ღელვა,
განა ვერ ატყობ, რომ არ გიხდება,
ნუ შიშობ უფლის, იწამე მარად
და ყველაფერი კარგად იქნება.

როცა ვარდები დეპრესიაში
და შენი ტანჯვა ატყობ იწყება,
მაშინ მოუხმე, თვით შთაგონებას,
თქვი ყველაფერი კარგად იქნება.

რომც დაგარწმუნონ შენ იღუპები,
შენი სიცოცხლის წუთი ითვლება,'
რწმენას მოუხმე და დაინახავ,
რომ ყველლაფერი კარგად იქნება.

როდესაც იმედს აზრი აღარ აქვს
და შენი გული ბოღმით ივსება,
ერთადერთია რაც გადაგარჩენს,
თქვი ყველაფერი კარგად იქნება.

თუ ცოოდვები გაქვს, სულით დაეცი,
ღმერთი არ გტოვებს შენსკენ იხრება,
ის მოწყალეა ყველა ცოდვილის
და ყველაფერი კარგად იქნება.

დიდ ნიჭია თავშეკავება,'
ნიჭით სიბნელე ნათლით იცვლება,
როცა ამ ნიჭს ფლობ, შენ უკვე იცი,
რომ ყველაფერი კარგად იქნება.

როცა ირწმუნებს სიტყვების ძალას
და ეს სიტყვები შენთვის იფრქვევა,
სხვებს აუხსენი და შთააგონე,
რომ ყველაფერი კარგად იქნება.

როდის იქნება? როგორ იქნება?
როცა კითხვები გულში ისმება,
ნუ უფიქრდები უაზრო სიტყვებს,
ღმერთის წყალობით,
სულ ყველაფერი კარგად იქნება.

ერს, მამულსა და უფალს

მადლობა უფალს სიყვარულისთვის,
რაც ჩემს გულშია მუდამ,
ყველა მიყვარხართ, ვინც არ ღალატობთ,
ერს, მამულსა და უფალს!

ადამიანი ხშირად შეცდება,
ცოდვა თან დაგვდევს მუდამ,
რომ სიყვარული არ არსებობდეს,
გულს ვინღა გვატკენს მუდამ ?!

სანამ სიყვარული ცოცხალია,
სანამ იფერფლება გზა,
ჩემს გულს სიყვარული ათბობს
და არ დაბნელდება ცა.



სოზარ სუბარს

ამქვეყნად ყველა გადაივლის, როგორც ნიავი,
მიწიდან შობილთ, კვლავ მიგვიღებს მიწა მრავალჟამს
და ერთი არის საწუთროში სანატრებელი,
წასვლა კაცურად, რომ არ გწვავდეს სირცხვილის ძალა.

ჩემი სამშობლო, ხალხის ძალა, ჩემი ქვეყანა
ჩემი სიცოცხლე, ჩემი ენა და ჩემი ძალა,
არ გადაივლის, არ გაქრება ფიქრებში ძალა,
ოღონდ შენ მყავდე, სულ ცოცხალი და მე მაქვს ძალა.

არ დავნებდებით მტერს ვიდრემდის,
ვსუნთქავთ და ვძალავთ,
ვიდრე წინამძღოლთ, ჩვენ ვუყურებთ,
ერთგულთ და ძლიერთ.

ერთს გთხოვთ სოზარო, რომ არ შედრკეთ,
არ დაძაბუნდეთ და ჩვენ გავუძლებთ
მტრის მუქარას და დავძლევთ ძალებს,
ოღონდ ვხედავდეთ, რომ თქვენ გიყვართ
ჩვენი ქვეყანა.

ამქვეყნად ყველა გადაივლის როგორც ნიავი,
მიწიდან შობილთ, კვლავ მიგვიღებს მიწა მრავალჟამს
და ერთი არის საწუთროში სანატრებელი,
წასვლა კაცურად, რომ არ გწვავდეს სირცხვილის ძალა.

დაილია ზღვა ცხოვრების გზისა

დაილია ზღვა ცხოვრების გზისა,
დაილია სიყვარულის თასი,
აჰასფერის ბედისა ვარ გზისა,
ცრემლითა მაქვს ავსებული თასი!

გამიფრინდა სიყვარულის მტრედი,
სხვაგან ნახა საბუდარი თურმე,
მე კი დავრჩი ოცნებებთან მარტო,
ცად გაფრინდა ოცნებების ჩიტი.

დაილია ზღვა ცხოვრების გზისა,
დაილია სიყვარულის თასი,
მე სიზიფეს ბედისაც ვარ გზისა,
ტანჯვითა მაქვს ავსებული თასი!

ამ თასს შევსვამ, სისხლია თუ ხორცი,
უფლის წყენას არ გავივლებ გულში,
მე მივათრევ ჩემს ჯვარს წყნარად, მალვით,
თუმცა, ზოგჯერ, ტკივილისგან ვტირი.

ღვთისმშობლის ხატთან

მე შენს თვალებში ღვთისმშობელს ვხედავ
და სალოცავად მოვედი შენთან,
გული სიყვარულს მონატრებული,
სულ შენთანაა და სულ შენ გლოცავს!

და ეს თვალები, თვალები წმინდა,
მე როგორ მათბობს, მხიბლავს,
ო, როგორ მიყვარს შენი ღიმილი,
შენი თვალები წმინდა.

თბილისი და ქსნის ხეობა

ჩემს თბილისში ხალხი მოფუსფუსე,
ერთმანეთთან ბრძოლაშია კვლავ,
ერთმანეთის სკამი ეშურვებათ,
ერთმანეთის სიძულვილი კლავთ.

მე ასეთი უცნაური რად ვარ ?!
დავდევ ფიქრებს, ოცნებების ზღვას,
მე ჟამურის წყაროც მენატრება
და ლარგვისის სალოცავი მწამს!

ჩემს ქალაქში ხალხი მოფუსფუსე,
ერთმანეთთან ბრძოლაშია კვლავ,
ერთმანეთის ფული ეშურვებათ
ოქრო-ვერცხლზე ოცნებები ჭამთ.

მე ასეთი უცნაური რად ვარ,
დავდევ ფიქრებს, ხოზუეთის ცას,
ცხავატურას თევზი მენატრება,
და ქსნელების სიყვარული მწამს!

წავიდა, გაქრა

ძველი თბილისი აორთქლდა, გაქრა,
წავიდა მუშტი და ვაჟკაცობა,
წავიდა ქალის სურნელით თრობა,
მისი გოგმანის, ღიმის ტრფიალი.

ახლა ქალაქში დაგოგმანობენ
სოდომისტები, ლიბერასტები,
კაცობა არა, დედლობა ფასობს,
ფულის კეთება, მამაძაღლობა.

აღარც შრომაა დაფასებული,
არც განათლება და არც კულტურა,
სამწვადის ნაცვლად მაკდონალდსები
და ღვინის ნაცვლად კი კოკა-კოლა!

მე აღარ ველი არაფერს არა

მე აღარ ველი უფლისაგან, არაფერს არა,
მან უკვე მომცა ამ ქვეყანას ყველა სიმდიდრე.
მე დავიბადე ღვთისმშობელის საუფლოში და
უფლისგან დამყვა მშობლიური ენის სიწმინდე.

მე დავიბადე და მომნათლეს ღვთისმშობლის სახლში,
უხვად მაპკურეს მირონი და ლოცვა ღვთიური,
მუდამ მომწონდა გალობანი სვეტიცხოველში,
ლომისის ჯაჭვით არაერთხელ შემომატარეს.

მე წილად მერგო განსწავლული კაცის ცხოვრება,
ქვეყნის დიდების დაბრუნების დიდ აქტთან მისვლა,
ხელის მოწერის პატივი და ჩუმი დიდება,
დევნის პატივი და უფალთან წილნაყარობა.

უფალმა მომცა მე მშობლები დედა და მამა,
რომელნიც მზრდიდნენ სიკეთით და პატიოსნებით,
ვერასდროს, ვერვინ, ვერსად მეტყვის: ვისი შვილი ხარ?!
გზააბნეულო სად დადიხარ და ვისა გავხარ?!

ფიქრი ყელის ტბასთან

ჩვენ ცხოვრებას იმედები ავსებს,
სულ გვგონია, ხვალე ჯობდეს ეგებ,
დღევანდელი გვეკარგება გუშინ
და ასე ვართ, დაკარგულნი ეგებ ?!

დღევანდელი საბრძოლოა ახლა,
გადადებულს, ანდგურებს მეხი,
დრო და სივრცე ჩაგრეხილა ერთად,
ვერ იპოვი, სად ვიყავით გუშინ!

ვანიჩკას

როგორ მაკლიხარ ჩემო ვანო,
როგორ მაკლიხარ,
შენ რომ იცოდე ადგებოდი
ჭიქას ავწევდით.

შენ რომ იცოდე რას მოვესწარ,
ცვედან-ბიჭები,
ერეკლე მეფეს გვიგინებენ
სარწმუნოებას.

ქვეყნის კანონზე გადამჯდარა
სატანის რქები,
უფროს-უმცროსი ჩარეცხილა,
ქართული წესი.

დაუძლურებულ და დაკოდილ
ქვეყანას ვხედავ,
მისი შვილები სკამებისთვის
წირავენ ერთურთს.

სამშობლო ჩვენი საფიცარი,
სახმარად უნდათ,
მხოლოდ უცხოეთს შეჰყურებენ
ნეტავ რას გვეტყვის ?!

სულ დაგვეკარგა ჩვენი გენი,
ჩვენი სინდისი,
რისთვის შესწირა ამ ქვეყანას
თავი გმირებმა ?!

თუ ცვედანები დაუსჯელად
მეფეს აგინებს,
მაშინ რაღა ქნას უფულომ და
ბოგანო ხალხმა ?!

ეჰ, ჩემო ვანო, ჩემო ვანიჩკა,
დროზე წასულხარ, ასე ვფიქრობ,
დამიგვიანდა, თუმცა, უფლისას
ჩვენ ვერ შევცვლით წესწყობილებას.

ვის დავუტოვეთ ის მიწა, ჩვენი მიწა და ალაგი

ვაი რომ ყველამ დავცალეთ და მივატოვეთ ალაგი,
ნეტავი დაბრუნდებოდეს ჩვენი მიწა-წყალ ჯალაბი,
ვის დავუტოვეთ საფლავნი, ვინ დაიტირებს მალალი,
განა დატოვა ქართველმა არაბებს ქვეშე ალაგი ?

ყველა დაეძებს ცხოვრებას, ზოგი სად გარბის, ზოგიც სად,
ნეტავ წინაპართ, რომ მივალთ რა პასუხს გავცემთ ვიცოდე,
განა ხმალია საბრძოლო ან თოფი ტყვია-წამალი ?!
მიწას ნუ დავთმობთ წინაპართ, პაპათა სისხლით გაპოხილს.

გადაგვიარა ურჯულომ, ბევრჯერ გვადინა ვარამი,
მაგრამ ჩვენს მიწა - სამშობლოს, განა გაყიდდა მალალი ?!
ვის ვუსმენთ, რომელ ევროპას, რომელ სატანა ბაიდენს,
განა არ ვიცით, რომ სხვისთვის არაფრად ვღირვართ მალალი ?!

ლოცვა

მამაო ჩვენო - სულის გამწმენდი,
როგორ მამშვიდებს მხიბლავს,
უფლის დიდებას მუხლს დავუჩოქებ
და კვლავ ვილოცებ დიდხანს!

შემინდე ღმერთო, სულში შემოდი
და გამიწმინდე გული,
დამაძლევინე ცოდვის სურვილი,
და დამიწმინდე სული.

გული

ვსტირი ამაოდ, მტკივა გული და მტკივა სული.
გამისხლტა ჟამი და ვერასდროს ვერ დავიბრუნებ.
ვისაც ვუძღვენი გული იმან, მატკინა სული,
ვინც კი სიყვარულს მპირდებოდა, მომიკლა გული.

რამდენი ვარდი დავკრიფე შენთვის,
შენ კი გათელე ყველა მათგანი,
არა ყოფილხარ, შენ ჩემი ღირსი,
ახლაღა მივხვდი, ახლაღა ჩავწვდი!

შენი გულისთვის მე უარვყავი საწუთროება,
მე დავივიწყე ყველა ქალი, ყველა ამქარი,
შენ მყავდი მხოლოდ აყვანილი ცის კაბადონზე,
შენთვის ღიობდა ჩემი გული და ის ჩარაზე.

წმინდა გიორგი

წმინდა გიორგი მესიზმრა,
ფეხებზე ება ლოდები,
სამას არაგველს სდიოდა
სისხლი ჯაჭვ-პერანგ გულიდან,
დროშა ეჭირათ ხელში და
მტერთან იბრძოდნენ დილიდან.

ადექ ქართველო გეყოფა,
ამდენი თმენა ჭირისა,
გალესე ხალიბაური და
მტერს ეკვეთე დილიდან.

ბეჩავ სიცოცხლეს იცოდე,
სიკვდილი გიჯობს გმირისა,
გვეყოფა ჩვენი სიჯაბნე,
გული გახსენი გმირისა!

სოროსს არა!

სოროსის ლეკვთ დაუპყრიათ მასმედია, ჩვენი სახლი,
არ ვღალატობთ მშობლის ენას, ასეთია ჩვენი ხალხი,
ამიტომაც ვიდევნებით ეკლესია, ქართვლის ხალხი,
სოროსელებს ვეომებით, ჩემი ქრისტე, ჩემი სახლი!

დავდგეთ იქ სადაც ქარიშხალია

და მხეცის ლაშქარს ებრძვის მეობა,

არ დაუტოვებთ სოდომს ქვეყანას

და გაიმარჯვებს ჩვენში ზნეობა!

იუდას ხე

მეხსიერება და წარმოსახვა

და მე დავდივარ დიოგენივით
და დავატარებ ანთებულ ფარანს,
ადამიანო სადა ხარ ნეტავ, გულით
ვატარებ, მდუმარედ ვარამს.

უფალმა შეგქმნა და რატომ შეცდი ?
რად უორგულე მამას შემოქმედს ?!
და რად მიიღე მოკვდავი სული,
რად არ ინანე, ან რად იცრუე ?!

ადამის ძენი, შთამომავლობა,
მუდამ ეძიებს დაკარგულს, ჯავრობს,
მეხსიერება და წარმოსახვა ისევე
გვტანჯავს და თანაც გვათბობს!

უსიყვარულოდ ?!

მოსაწყენია ეს ცხოვრება უსიყვარულოდ,
რა თავში ვიხლი, ოქრო-ვერცხლს და ზიზილ-პიპილოს,
თუ ცაში ასულს, ნისლის ზღვაში ვეძებ ღიღილოს,
არაფერია ეს ცხოვრება უსიყვარულოდ!

ნუ ეძებთ

ნუ ეძებთ ჩვენში მტერს და ბომონს,
ნუ ეძებთ, ოქროს ზოდში ჟანგს,
ჩვენ მხოლოდ სიყვარულის გვჯერა,
ჩვენ მხოლოდ სიყვარულის გვწამს.

ნუ ეძებთ ჩვენთან ვერცხლს და ლალებს,
ნუ ეძებთ, ოქრო-ვერცხლის ზღვას,
ჩვენ მხოლოდ სიყვარულით ვცოცხლობთ,
ჩვენ მხოლოდ სიყვარული გვწამს!

საქართველოს თერგდალეული მათემატიკოსები

როცა სიყვარული გშია

როცა აყვავილდა ნუში,
როცა გაიშალა ღვია,
როცა სიმღერაა გულში,
როცა სიყვარული გშია.

როცა გაილია ჟამი,
როცა გასხვაფერდა დილა,
როცა სიმღერაა გულში,
როცა სიყვარული გშია.

როცა მოთმინება შესძელ,
როცა გაგითეთრდა თმები,
როცა სიმღერაა გულში,
როცა სიყვარული გშია.

როცა დაგეკარგა ყველა,
სიყრმის მეგობრები - ვარგი,
როცა გენატრება ყველა,
როცა გული გადაივსო, დარდით.

ნათელას

ჩემი ანკარა წყარო ხარ,
სულის წამალი ერთი,
სინაზის ეტალონი ხარ
ზეციდან გლოცავს ღმერთი!

ვერძს რომ გაუძლებს, პატრონობს
და სულს უბერავს ერთი,
ნეტავ რა დედამ გაზარდა,
რა რძეს აჭმევდა ღმერთი ?!

ნინო

ლამაზი ნინო, უფლის რჩეული,
ხშირად მიახლებს სიყრმის ოცნებებს,
ზოგჯერ, დავცქერი მე შენს სურათებს,
ზოგჯერ დავდივარ როგორც ეული.

რა კარგი იყო ის სკოლის წლები,
როცა შეგვეძლო სწავლა სიცილი,
როგორ ვნატრობდი შენს წამწამთ
ციმციმს, რომ დამეკოცნე, როგორ იცინი.

შენ კი მითხარი, მე სხვა მიყვარსო,
მეც დაგიჯერე, მაშინ გიცანი,
ვცადე მომეძღვნა შენთვის ვარდები
მაშინ მეგონა შემიყვარებდი.

შევცდი ამაოდ, ვრეკე ზარები,
შენს სიყვარულთან მიიარები,
მერე, შენც გითხრეს, რომ სხვისა
იყო, ის გული ვისაც მიეც ფიქრები.

ღვარე ცრემლები, ჩემთან მოხვედი,
მითხარ მზად ხარ, იყო სულ ჩემი,
მაგრამ მე გითხარ, რომ ნასუფრალზე,
მე ვერ დავჯდები, ვიყავი შტერი.

გავიდა დრო და ჩვენი თვალები,
კვლავ შეხვდა ერთურთს, ნაზიარები,
ჩვენ ჩვენი გზებით ვიარეთ ბევრი,
ბოლოს კი, შეხვდნენ წარსულის გზები.

ორივე მარტოდ, ორივე თეთრი,
დრომ ხომ დაგვატყო თავისი ხელი,
ვნახე სიყვარულს ნატრული მდედრი,
გული აჩქროლდა, დაგვრია ხელი.

თუმცა კი წარსულს, ვერ მოაბრუნებ,
ერთხელ გვეძლევა, ცხოვრების დღენი,
თუ შეცდი ერთხელ, ვერ დაიბრუნებ,
წარსულში დარჩა, წარსულის დღენი.

გუჯა ბურდულს

რაც უნდა დამანგრიოს ბედმა,
რაც უნდა დამანგრიოს ჟამმა,
მუხლზე დაცემულიც ვდგები
უფალს მოვუხმობ არ ვკვდები.

ხმალსაც მოვიქნევდი, დავკრავდი,
მტერს არ დავზოგავდი ერთხანს,
მერე მდუმარებით ვილოცებდი,
მტერს რომ დავჯაბნიდი, ბედ ხანს.

უფლის ძალითა ვარ ცოცხალი,
მისი შენდობისგან მთვრალი,
ბევრჯერ ცოდვილი ვარ ქვეყნად,
ბევრჯერ სიყვარულით მკვდარი.

აღსარება

უფალო გავიშიშვლე სული,
შენს წინაშე დაჩოქილი ვდგევარ,
მინდა აღსარება გითხრა, მინდა
და ცრემლები მცვივა.

შენმა უგუნურმა შვილმა,
ბევრჯერ შევიყვარე ქალი,
ერთხელ, გავაღმერთე მხოლოდ,
ერთხელ, დამიბნელდა თვალი.

ჭალის ბუნებაა მწყრალი,
ზაფხულს მცხუნვარე და მთვრალი,
სიყვარულით ნაშენები სახლი,
დამრჩა მარტოობის კვალი.

სიცოცხლე და სიკვდილი

როცა სიყვარული ქრება,
როცა იხურება კარი,
როცა ნაპერწკალი ქრება,
მაშინ სიკვდილია დარი.

როცა ივიწყებენ წარსულს,
როცა გვიანია წყენა,
როცა ღალატია გზაზე,
მაშინ სიკვდილია ლხენა.



ქვემო ჭალაში ლომები ბჭობენ

ქვემო ჭალაში ლომები ბჭობენ,
ლომებს არ სძინავთ და ნადიმია,
არა, არ სძინავთ ამილახვარებს,
სხვილოს ციხეზე ცეცხლი ანთია!

არვის ეგონოს შეიცვალა ვითომ დროება
და დაიკარგა ქვეყანაზე ქართული სული,
ჩვენი ვაჟები ისევ ვაჟობენ, იღვიძებს გული,
ქვემო ჭალაში ლომები ბჭობენ ბრძოლის სუნია.

სხვილოს ციხეზე ცეცხლი აინთო, მოდის დროება,
მტრის წისქვილს წყალი, მალე დაიკლებს, მოდის თაობა,
მოდის ლომგული, სააკაძის შთამომავლობა, ვაჟკაცთ თაობა,
ჭაობს ჩაფლული მუცლის თაობის მიდის დროება, მათი ყვავობა.

ჩემი მშობლები

და აღარ დარჩა არაფერი ამ ქვეყნად წმინდა,
ყველა წავიდა და მიმატოვა ამ ქვეყნის ძალამ.
და ვის შევჩივლო სიმარტოვე, რომ მტანჯავს სულის,
არავინ დამრჩა ხმის გამცემი, არა ვარ თითქოს.

დრო საშინელი, შავ ფერებში გამონასკვული,
მოდის პირქუში, ღალატით და ყინვით მოცული.

სესილი

ნეტავი შემეძლოს შენთან ახლოს ყოფნა,
ნეტავი შემეძლოს დავამარცხო წლები,
ნეტავი შემეძლოს დროში დაბრუნება,
რათა ოცნებებს გავუშალოთ ფრთები.

ყველაფერი მეგობრობით იწყება,
მერე ღმერთი გაგვინათებს გზას,
ზოგჯერ, გული სიყვარულით ივსება,
ზოგჯერ, ვიღაც გაგვიუქმებს გზას.

მთავარია სიყვარული, სიყვარულის გზა,
გიხაროდეს გაღვიძება, მზის ამოსვლა ცა,
არ გტკიოდეს წარსული და არა გღრღნიდეს გზა,
სიყვარულით იღვიძებდე და გლოცავდეს ცა.

აღსასრული

აღარ ვწერ წერილებს,
აღარ ვწერ ემაილებს,
აღარც ოცნებები მათბობს,
არ ვარ ამ ქვეყანას თითქოს.

დამთავრდა ცხოვრება სიხარულის,
დამთავრდა ოცნებების ნისლი,
დამთავრდა ცისარტყელა მძივის,
ბრჭყვიალება, სიყვარულის ძვირის.

სამყარო სატანის მეფობას ესწრაფვის,
ცაც კი გაშავდა, გაშავდნენ ღრუბლები,

ვირთხები მეფობენ, ლომები არ არიან,
ქაოსი გამეფდა, ქვეყანა აირია.

ჩემი სიცოცხლეც თავდება მიილია,
ჩემმა ზარებმაც ჩამოჰკრეს გაილია,
უფალო მოვედი, ჩემი მზეც დაილია,
სიბნელე ჩამოწვა, დღესა თუ, გუშინ ?!

უცნობი ავტორის ლექსი

სანამ ცოცხალი ვარ, სანამ კვლავ ვარსებობ,
სანამ გულში ცოცხლობს ამინდი მზიანი.
მანამ მომეფერე, მანამ გამიფრთხილდი,
მერე ყველაფერი იქნება გვიანი.

სანამ ძველებურად ბრუნავს დედამიწა,
სანამ არ გამწირავს იღბალი ტიალი
გულში ჩამიკარი გული არ მატკინო,
მერე ყველაფერი იქნება გვიანი.

სანამ სიყვარული ისევ შემიძლია
სანამ კვლავ მახარებს ფოთოლთა შრიალი
ხელზე წაიკითხე ჩემი ბედის წერა,
მერე ყველაფერი იქნება გვიანი.

მოვა დრო მიხვდები წარსულის შეცდომებს,
აღარ გაგახარებს ფოთოლთა შრიალი.
მე ვეღარ დაგიხსნი ტანჯვა სამსხვერპლოდან
მერე ყველაფერი იქნება გვიანი.

ბედის ირონია მწარედ ჩაგვიცინებს და
აგატირებს სიჩუმის ტრფიალი.
მარტო დარჩენილი სევდით გამიხსენებ,
მაგრამ დამიჯერე იქნება გვიანი.

სანამ ცოცხალი ვარ, მანამ მომეფერე
მერე ვერ მიშველის ხსენება ფიალით,
გული არ მატკინო, თორემ ცრემლების ღვრა,
როცა არ ვიქნები იქნება გვიანი.

პირველი სიყვარული

რა კარგი იყო ის წამი ფლიდი,
ერთურთს თვალებით ვეძებდით მუდამ,
სხვებს ვერ ვხედავდით იმ სამყაროში,
მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით მუდამ.

მაგრამ უეცრად გავიგე გრგვინვა,
ბედმა წაგიღო ღრუბლებში ზემოთ,
მე ჯერ აქა ვარ, ვლოცულობ შენთვის
და მერე დროზე ვიფრინოთ ზემოთ.

ამ სიყვარულმა, ამ ვალმა გზისა,
მომცა ძალები რომ მევლო მუდამ,
დავარდნილიც კი ბევრჯერ ავმდგარვარ,
ეს სიყვარული მათბობდა მუდამ.

უმადურობა

უმადურობამ მოიცვა ქვეყანა,
სიკეთის მთესველთა დევნაა ცხოველი,
ბნელდება სამყარო, ბნელდება ქვეყანა,
ბნელდება სულები, იზრდება ცხოველი.

ენის ტლიკინის, ცილისწამების
და ღალატის ჟამს, მოდის იუდა.
ოცდაათ ვერცხლად გაყიდული
სიწმინდე სულის, თუ, ის გიურზა ?!



სოხუმი

მომენატრა სოხუმის აისი და დაისი,
მომენატრა სოხუმში, ზღვის შხუილი
მაისის.

გაჩეჩილი ქალები, დაბნეული თვალები.
მომენატრა აფხაზურა, ცა კი ლურჯი
მაისის.

რა შევცოდეთ ნეტავ უფალს,
რატომ დაგვაშორისა ?!
ნეტავ ჩვენ და აფხაზები
ვინღამ დაგვაშორისა ?!

აბელას

როგორ მომენატრა მამა, მისი სიბრძნე, ვაჟკაცობა, ბრძოლა,
არსად, არავისთვის სხვისთვის, ჩემთვის დადნებოდა სანთლად.
მკაცრი და სასტიკი ზოგჯერ, თუმცა მართალი და საღი.

გვერდში რომ მედგა და ჩუმად, მზრდიდა სიმკაცრეში მყარი.
მისი გაღიმება ჩუმი, არასოდეს შექება და ტაში.
მაქეზებდა, მასწავლიდა შრომას. მოყვასთა სიყვარულად მდგარი.

ყველას დამხმარე და ძალი. არასოდეს, მოდრეკილი მფრთხალი.
მუდამ ამაყი და მძლავრი. ინტელექტით მბრწყინავი და მზარდი.
სხვილოს ციხესავით მძლავრი, ხალხის სიყვარულად მდგარი.

ინგა გრიგოლიას

გაპოლიტიკანებული ჟურნალისტი

ღამურას წააგავს ფრთიანს,

არც თაგვია და არც ჩიტი,

სოროსის ლეკვს წააგავს გვიანს!

ქართული ენა

ზვიადთან ერთად ქართულ ენას ესროლეს ტყვია,
საქართველოში "მტრის დემონებმა" წაიგდეს ენა,
მაგრამ სადაა ჩვენი ენა, ჩვენი საუნჯე ?!
უცხო სიტყვებით შებოჭილი ტირის და გმინავს.

ანგლო-საქსების ბატონობას ემსხვერპლა ენა,
ენა დავითის, თამარის და რუსთაველისა,
დღეს, თუ ინგლისურს ლაპარაკობ, კაციც შენა ხარ,
ანგლო-საქსებმა ქართულ ენას ესროლეს ტყვია.

მარტოობა სულისა

გავიდა დრო და გაჰქრა ჟამი,
ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს,
მაგრამ ის დრო ხომ აღარ მოვა,
როცა ვეტრფოდით ერთმანეთს.

გავიდა დრო და გაჰქრა ჟამი,
და შენ წახვედი უეცრად,
მე ისევ ვეძებ ლამაზ თვალებს,
შენ კი დამტოვე უეცრად.

გავიდა დრო და გაჰქრა ჟამი,
შენს ღიმილს ვეძებ კვლავ და კვლავ,
შენ კი წახვედი არ არს ჟამი,
რომ არ გნატრობდე კვლავ და კვლავ.

სულ ამერია დრო და ჟამი,
ხან ამ ქვეყნად ვარ, ხან შენთან,
ფიქრთა ნისლებში დავიკარგე
და ვერ გპოულობ კვლავ და კვლავ.

ნუ უორგულებთ მშობელ მხარეს

ღმერთმა ქნას ჩვენში დაიბადოს,
კიდევ პატარა კახი,
თავის ჭკუით გაამრთელოს,
საქართველო დაჭრილი.

ხორციელი ვნებებისგან
გაადვიძოს ქართველი,
და სამშობლოს დააბრუნოს
დაბნეული ქართველი.

ნუ უორგულებთ მშობელ მხარეს,
მტერს ნუ აუხდენთ ოცნებას,
ერთურთს დავუდგეთ ძმებად-დებად,
გავერთიანდეთ ლაშქარში.

სამას არაგველს შეგავედრებთ
და ცხრა ძმას ხერხეულიძეს,
შალვა, ელიზბარ და ბიძინა,
სისხლი სდით გადმომდინარე.

კუჭის მონები ნუ გახდებით,
ნუ დაივიწყებთ ილიას,
ციდან დაგვყურებს დავით მეფე,
მას მტრისა სისხლი სწყურია.

ვიდრე არ დავცლით მშობელ მხარეს,
დაუპატიჟებ მტერთაგან,
ერთურთს შევფიცოთ სიყვარული,
არ დავივიწყოთ ძირია.

ნუ უორგულებთ მშობელ მხარეს,
ნუ დაივიწყებთ კვირიას,
ბერი ლუხუმიც ხმალს მოიქნევს,
ფიქრებს აიხდენს ილია.

მებრძოლი მეფე ერეკლე II

ჩემს ებრაელ მეგობარს (ილია ხასიდს)

შენ სად ხარ ახლა მე არ ვიცი,
და ეს მაღელვებს,
როგორ ხარ, სად ხნავ ან
რასა ჰფიქრობ.

მირბიან წლები, მე მეგობარს
ვეღარა ვპოვებ,
და უფრო მწვავედ მიდაღავს გულს
მოგონებანი.

ჩვენი მთაწმინდა, ოპერა და
ბათუმის პარკი,
გათეთრებული მოსკოვი და წყარო
ანკარა.

რა წმინდა იყო, ის დრო როცა ერთად
ვისხედით,
და მთაწმინდიდან, კაცთა გვარის დახსნას
ვლამობდით;

და ჩვენი რწმენა, რომ ყველაფერს
მოვერეოდით,
როგორ გვავსებდა ჩვენ, ამაყი
სიხარულითა.

მე ლესელიძის ქუჩის ახლოს
ვეღარ გავივლი,
გული მიკვდება, რომ ვერ განახავ
იქ შენ გაწეწილს,
რომ ვეღარ ვპოვებ მე ოპონენტს
იქ გულალესილს.

გაძნელდა ცხოვრება და ხალხიც გაშმაგდა,
ერთურთს ვეფხვებივით უმზერენ ქვეშიდან,
ვინ ვის და საიდან, ასეა ამჯერად
შურით და მტრობით, ქვეყანა დაინგრა.

მამის დარიგება

შენ ქართველი ხარ მუდამ გახსოვდეს,
არ შეარცხვინო მშობელი, ერი,
იცოდე, შენი, სიყვარული,
სულ მცირე ჭირიც, აქ, ამ ქვეყანას
იწყება და არა თავდება.

არ დაივიწყო შენ, ქართველო,
მყინვარი, თერგი,
არ დაივიწყო რიონი და
ჩვენი აგარა.

არ დაივიწყო, შავი ზღვა და
მესხეთის მთები,
ჩვენი სვანეთი, აფხაზეთი,
ჩვენი აჭარა.

იცოდე შენშიც, ფეთქავს სისხლი
ტანჯული მიწის,
გაუძელ ყოველ გაჭირვებას,
იყავი გმირი.

არ შეეპუო, პესიმიზმის მყინვარე ბალზამს,
იცოდე ქართველთ, არწივების
სამეფოს შვილებს, არა შჩვევიათ
დანებება, ყვავური ვიში.

თუ, ისტერიამ შეგიპყრო და გაგაპამპულა,
არას შეგინდობს, შენ არც ერი, აღარც ფორტუნა,
ეცადე, შენით, ამაყობდეს, ერიც და ბერიც,
ეცადე ქართველთ, დროშა მაღლა ააფრიალო.

მაშ, გაუმარჯოს, ქართველობას
და კავკასიას,
აზერბაიჯანს, ინგუშეთს და
მთელ ევრ-აზიას.




მედროვენი

მიდის დრო და მიფრინავენ წლები,
სევდა მიპყრობს და მიდაღავს გულს,
აუხდენელ ოცნებათა მთები
ისევ, ისე ამითრთოლებს გულს.

ჩემს ქვეყანას მოსდგომია მტერი,
სვავებივით პიკირებენ მგმობნი,
სურთ აცდუნონ პრეზიდენტი-მეფე
და საკბილოდ გაიხადონ ძენი.

ხალხი როკავს - მუცლით მოაზროვნე,
ეჩქარებათ მათ ცხოვრება ლაღი,
უსაქმურთა შუბლს ასვიათ დაღი,
უნდათ როკვა, უსაქმო და ლაღი.

არად უნდათ, ხალხი მცოდნე საქმის,
მთავარია უცხო ენის ცოდნა,
ადრე იყო რუსულ ენის მოდა,
ახლა მხოლოდ ინგლისური დაძრწის.

ხალხი უცხო, ქვეყნად გამოზრდილი,
ხევისბერებს "ასწავლიან" ლოცვას,
ტრადიციათ, მშობელთ შეგინებით,
მათ მიიღეს პარლამენტში მოსვლა.

აცივდა და ქარმაც იწყო ქროლვა,
ძვალ-რბილს აღწევს, სუსხი საზიზღარი,
სლავებისგან გამომძღარი ძმები,
ამერიკის, გახდნენ მაქებარი.

გრანტის ძუძუ, მოწოვილი ყმანი,
ქვეყნის მტრები გახდნენ უცებ, ერთად,
მათ დაიწყეს ეკლესიის ლანძღვა,
მოინდომეს სულიერი დაშლა.

საქართველოს ცხოვრება და წესი,
მათ არ მოსწონთ, ღამურობა უნდათ,
სულ მოთხრიან მამა-პაპის საფლავს,
ოღონდ სოროსს მოაწონონ თავი.

ანტიეროვნულ - ანტიქრისტიანული საერთაშორისო მოძრაობის
ლიდერი - ჯორჯ სოროსი

სიყვარულის გზა

წავიდა დრო და გაჰქრა ჟამი,
თმაში გაგვიჩნდა ჭაღარა,
მაგრამ, რა ვუყოთ მაგ შავ თვალებს,
რომ ისევ მწვავენ კვლავ და კვლავ.

გავიდა დრო და გაჰქრა ჟამი,
ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს,
მაგრამ, ის დრო ხომ აღარ მოვა
რომ შევხაროდით ერთმანეთს.

ნუ ეძებთ ჩემში მტერს და ბომონს,
ნუ ეძებთ, ოქროს ზოდში ჟანგს.
მე, მხოლოდ სიყვარულის მჯერა,
მე, მხოლოდ სიყვარულის მწამს.

წავიდა დრო და გაჰქრა ჟამი,
ჩვენ, კვლავ შევხვდებით ერთმანეთს,
მაგრამ, ის დრო ხომ აღარ მოვა,
როცა გვჯეროდა ყველაფრის.

ნუ ეძებთ, ჩემთან ვერცხლს და ლალებს,
ნუ ეძებთ, ოქრო-ვერცხლის ზღვას,
მე, მხოლოდ სიყვარულით ვცოცხლობ
მე, მხოლოდ ცეცხლისჯვარის მწამს.

წავიდა დრო და გაჰქრა ჟამი,
ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს,
მაგრამ ის დრო ხომ აღარ მოვა,
რომ ვუგალობდით ერთმანეთს.

ზვიად გამსახურდიას

შენს წმინდა სახელს ვერ დაჩრდილავს
მავანთა ზრახვა,
ღმერთმა გარგუნა ქრისტეს ხვედრი
შენს სამშობლოში,
მაგრამ, აღსდგები ისე როგორც
ვახტანგ მგელია,
და წარუძღვები ერს მშობლიურს
როგორც ბერია.

ბევრი იბრალებს და იტოლებს მეფისა
გვირგვინს,
ბევრი იჩემებს საქართველოს
მხსნელის მანტიას,
მაგრამ შენ ერთი, მხოლოდ შენ ხარ
მართალი ზვიად,
ახლა ეს ყველა, ნამდვილ ქართველს,
ახსოვს და სზარავს.

შენ ხომ იმ ქალმა გიღალატა, ვისაც ეტრფოდი
შენ ხომ იმ ხალხმა მიგატოვა, ვინც აამაღლე,
შენ, შენს სამშობლოს შეეწირე, არ ინაღვლებდი,
რომ დაგენახა საქართველო გაბრწყინებული.

შენს წმინდა სახელს ვერ დაჩრდილავს
მავანთა ზრახვა,
ღმერთმა გარგუნა ქრისტეს ხვედრი
შენს სამშობლოში,
მალე აღსდგები, ისე, როგორც
მეფე დავითი,
და წარუძღვები ერს მშობლიურს
შენი დავითნით.



გაზაფხულის ქარი

გული სტირის, სულის სიმებს კაწრავს,
ატმის რტოებს მიმოარხევს ქნარი,
ცრემლიანი, ჟამი ლოყებს კაწრავს,
მეუბნება ღამის თბილი ქარი.

ჭექა-ქუხილს წვიმა მოსდევს ღვარი,
ადიდდება არაგვი და ქსანი,
დაინგრევა ღობე-ყორე განი,
თვალს მადგება ცრემლიანი დარი.

გული სტირის, სულის სიმებს არხევს,
ატმის რტოებს მიმოარხევს ქარი,
ჩუმად კვნესის ჩემი სულის ფარი,
მეუბნება ღამის თბილი ქარი.

ჩაიარა ბრძოლის ჟინმა გუშინ,
დღეს ისევე ვდგებით წაქცეულნი,
ახალ ბრძოლებს ველოდებით აქ, შინ,
ცხოვრებისგან მგლებადა ქცეულნი.

გული სტირის, სულის სიმებს კაწრავს,
ატმის რტოებს მიმოარხევს ქნარი,
ცრემლიანი ჟამი ლოყებს კაწრავს,
მეუბნება გაზაფხულის დარი.



თინიკოს

შენს მშვენიერ ღიმილს, თვალებს შევხარი,
შენი მკერდის ათრთოლება მწვავს,
მინდა გულში ჩაგიხუტო შეგხარი,
შენი ცივი უარი კი მკლავს.

მარტოობა ამოვშანთე სიყვარულის სიმღერით,
სიყვარულის ბადეში ვარ დღეს,
რა იქნება ხვალ, მე ეს არ ვიცი.
დღეს კი უნდა ვეთაყვანოთ ღმერთს.

მარტოობა ამოვშანთე სიყვარულის სიმღერით,
სიყვარულის ბურანში ვარ დღეს,
რა იქნება ხვალ, მე, ეს, აქ, არ ვიცი.
დღეს კი უნდა დავუჩოქოთ ღმერთს.

მეპოტიზმი სამშობლოს ღალატია

ძმანო ქართველნო, ჩვენს სამშობლოს გასაჭირი აქვს,
მაგრამ ვერც ხმალი და ვერც მკლავი ჩვენ ვერ გვიშველის.
დღეს საქართველოს მტერი გახდა თვით ძლიერება,
დღეს ქართველთ ძმობას ბოროტების ხელი ატყვია.

ერთურთს ვუკეთებთ ვითომდაც კარგს,
ძმას წინ გავუშვებთ,
თუნდ უმეცარი, იყოს იგი და თუნდ ჯაბანი,
ჩვენ ვიტყვით ჩემი, საკუთარი, მკერდთან ახლოა,
და სხვას მირჩევნის, თუნდაც იყოს, ის ფარსადანი.

ეს ღალატია ძმებო ჩემნო საქართველოსი,
ეს ღალატია ჩვენი ძმების, ჩვენს წინაპართა,
ჩვენს, ასეთ ძმობას იტირებდნენ დიდად დიდია,
ის ჩვენი ვაჟა, ჩვენი შოთა, ჩვენი ილია.

აწ მომავალში არ გაჩნდება ჩვენთან
არც ცოტნე,
და არც არავინ არ დაწვება ტანკის
ქვეშ წყნარად;

სულ, ყველა იტყვის ჩემი თავი მირჩევნიაო,
გავითიშებით, სათითაოდ დავიფანტებით
და მერე ნახეთ, რომ ლიდერი არ გვეყოლება,
რამდენი ცრემლი გადმოვყაროთ, დავიგვიანებთ,
და ის რაც ეხლა შეგვიძლია აღარ გვექნება,
საუკუნეებს დავკარგავთ ჩვენ წუთებისათვის.

სულ წაგვართმევენ წინაპართა დიდთა სახელებს,
დაგვარწმუნებენ რომ ჩვენ ველურ ტომებს ვეკუთვნით,
ჯერ წაგვართმევენ ისტორიას, სისხლს წინაპართა,
მერე კი ენას, რწმენას ამოგვართმევენ,
და დამუნჯებულთ, გათიშულთ და გადაჯიშებულთ,
მონად გვაქცევენ უბრძოლველად ბარბაროსები.

შრომა

შრომაა ბედნიერება, მხოლოდ შრომაა დიდება, როცა რომისგან
დაღლილი, მზეს გასცქერ სიცოცხლე გინდა და როცა
უსაქმურობას, ვეღარ უძვრები ხელიდან, ათასი აზრი მოგივა და
აპათია შეგიპყრობს, ან ღვინოს დაეწაფები
ან კი მოსწყდები ძმობისგან, ქვეყნის ავ-კარგის დამგმობი
დაიდაღები ქვეყნისგან.

შრომაა ბედნიერება, ასეა კაცი შექმნილი, ვინც ამას გადაუხვია,
ყველა წავიდა გმობილი; შრომა გვანიჭებს სიხარულს, შრომით
ვართ გამოზრდილები, შრომამ გვაქცია კაცებად, ასე ვართ
მონათლულები. ჩვენი ცხოვრება - წამია, რისთვისღა გვბორკავს
სევდა, სიყვარულს მივცეთ სიცოცხლე, შრომით მივიდეთ
ღმერთთან.



ისევ მიყვარხარ

ისევ მიყვარხარ, ისევ ფეთქავს კუნთებში ძალა,
და ყოველგვარი გახსენება შენი მახარებს,
და როგორც ბავშვი, ისე შევტრფი ზღაპარს ჩინებულს,
ღრუბელთა ტალღას, ნაირფერად გაცისკროვნებულს.

მე შენი სახე, აღმაფრენას მაძლევს ამ ქვეყნად,
მე შენზე ფიქრით, დაღალული დავიარები,
არავინ, არსად, არ ყოფილა ასეთი ნაზი,
შენი სხივები, ძალას მაძლევს სიხარულისას.

სულ დავივიწყე ყველა წყენა, ყველა ჭრილობა,
მხოლოდ შენ ერთი, ალამაზებ მახინჯ ცხოვრებას,
მე, დაბრკოლება ცხოვრებაში არაფრად მიღირს,
თუ შენ ახლოს ხარ, მე მტერს ათასს შევეჭიდები.

ჩვენი ზღაპარი, ისევ მათრობს მთვარიან ღამის,
შენ ოცნება ხარ, ციდან ჩემთვის გამოგზავნილი,
თუმცა ოცნება – სიკვდილამდე აუხდენელი,
მაგრამ ლამაზი, ვით ზღაპარი მთვარიან ღამის.

შენ ლამაზ თვალებს, დაღალული ველაციცები,
ასე მგონია ვერსად წახვალ, უჩემოდ მკვდარი,
ჩემი ოცნება, ჩემი სული, მხოლოდ შენ გიმღერს,
შენი თვალები, ჩემი გული უშენოდ მკვდარი.

შენ რომელი ხარ, ქეთი, თაკო, ნინი, სესილი . . . მე ეს არ ვიცი
და ესეც მტანჯავს, სიზმარში გნახე თუ სიცხადეში,
მე ეს არ ვიცი; თუმცა კი ვიცი
რომ მე მიყვარხარ და ყველაფერი, აქ სიცხადეში.

ილიკო სუხიშვილს

ქართული ცეკვის, ქართული სულის სინატიფე, მტერსც აგრძნობინე,
შენთან ვალშია კავკასიის ყველა ვაჟკაცი, ყველას აჩვენე რომ კავკასია
უძლიერესი, მთის არწივების სამშობლოა – ღმერთის საუფლო, აქ ამირანი
მიჯაჭვული ებრძვის თავის ბედს, მაგრამ არ დრკება მისი სული არა ვიშვიშებს.

ქართული ცეკვა, სულის ცეკვაა, სულის კვნესაა, გულის სიწმინდე,
ქალის სიყვარულს და მის მანდილს ვეამბორებით, ქალს ჩვენ ვუმღერით
რომანსებს და ვეტრფით მის თვალებს, ვეალერსებით მის სინაზეს
და სილამაზეს, ქართული ცეკვა - სულის მღერა, გრძნობის მორევი – ილიკო.

სუხიშვილებს ღმერთმა მოგცათ დროშა მანათობელი, არ დაუშვათ დაცემა,
მტერს ნუ მისცემთ სიხარულს, ღმერთს ემონეთ სხვას არავის ამქვეყნად, ესტაფეტა
თქვენ გავალებთ დადგეთ მაღლა საკუთარი გრძნობებით. ერის შვილნო, ერს უყვარხართ, მამა-პაპის ძმობილნო, თქვენ მათ ხსოვნას ინახავთ და გადასცემთ.

კავკასიის მანათობელ ვარსკვლავად, გაჩნდა ქვეყნად ქართული და ქართველი,
ინგუშ ძმებთან ერთად დავდგეთ ბრძოლაში და ნუ მივცემთ მტერს სიხარულს ოცნების,
ქართულ ცეკვას ცეკვავს კავკასიელი, ერთი არის კავკასია მთლიანი,
მტერმა დაგვყო ხალხებად და გვაბრძოლებს, მერე თვითონ ხარხარებს და დაგვცინის.

ილიკო ხარ სუხიშვილი, ღმერთის შვილი, ქართველი, დახუნძლული მადლითა
და მსახურობ წმინდა საქმეს ქართულად, ღმერთმა მოგცა ბევრი დარდი, დიდი
ნიჭიც გარგუნა, არ ღალატობ მშობელთ საქმეს და ბედს ებრძვი ქართულად.
ამირანად დაბადებულს გარგუნა, ღმერთმა ბრძოლა კავკასიის მარგულად.

ცხოვრების დროებით მეგზურს

შენ ისახავ ამოცანებს დიდს,
მერე ერთად, უნდა ვიცოდვილოთ,
ხან გადავძლევთ და ხან ვაი-ვაგლახს,
გადაყრილი გვრჩება ჩვენი შრომა.

გაილია ჩვენი სიყმაწვილე,
თმაში თეთრმა შეგვირია ხელი,
შენ კვლავ ისე, ისევ მისდევ ფანტელს,
მე კი შენი მისწრაფება მტანჯავს.

შეისვენე და მეც მომეც სუნთქვა,
გული ლამის ამოვარდეს ზემოთ,
რატომ ცდილობ მდიდარს დაემსგავსო,
რატომ გიპყრობს მეშჩანობის მატლი?!

მე ლექსები შენთვის მიწერია,
გაილია სიყმაწვილის ჟამი,
დავრჩი მარტო, ფიქრებთან და მტანჯავს,
ამოუხსნელ იდუმალთა ჯარი.

ყველამ გამცა, მიღალატა ძმამაც,
აირჩია ოქროს დაგროვება,
მე კი ერთი, სიყვარული მტანჯავს,
ჩემი ქვეყნის, ჩემი ხალხის მფერი.

ეს ცხოვრება ჩაივლის და წავა,
დრომ წაიღო ომარ ხაიამიც,
მაგრამ მისი, სულის, გულის ფეთქვა
დღესაც გვათბობს, დარდები კი წავა.

სიმდიდრეა ღვინო, დუდუკ-ქალი
ყველაფერი ჩაივლის და წავა,
მხოლოდ ერთი სიყვარული ხალხის,
სხვა კი ყველა, ყველაფერი წავა.

შვილებმა სიბერე მიქციეს ციხედ

შვილებმა სიბერე მიქციეს ციხედ, მდიდრულად ცხოვრება მოუნდათ ისევ,
არ მოსწონთ ჩემი, არც სახლი, არც ჰაერი, აღარც სიმღერა და აღარც მე.
შვილები კვლავ მთხოვენ, რომ მათთვის ვიცხოვრო, მე კი ჩემსა გზას ვერა ვთმობ ვერ, ჩემი ქვეყანა, ჩემი ხალხი, მეცნიერება, ეს არის ჩემი სიმდიდრე ეს.

დავდივარ თბილისში, მდუმარედ ცრემლიანს, არავინ არაფერს არ მეტყვის მეტს. მე მიყვარს ქალები, მე მიყვარს მზე, მე მიყვარს მშობლები, მიყვარხართ თქვენც.
ჰოდა რაღა გინდათ, თუ დავდევ ღმერთს, ჰოდა რაღა გინდა, თუ ვერ ვთმობ მეს.

ცივი ამინდები ჩაივლის ქვე, მზე გამობრწყინდება აავსებს ველს, შვილები მოძებნიან თავის გზას ძველს, ქმრებს დაიმონებენ, ან კიდევ მკვლელს, მათ მტრად მიაჩნიათ ღარიბნი – ჩვენ. მაგრამ არ იციან, ვინა ვართ ჩვენ.

ზოგჯერ იმას ვფიქრობ, ბერად აღვიკვეცო, მაგრამ ამ გულში, რა ვუყო მზეს, ლამაზი ქალი – ჩემი სიცოცხლეა, ლამაზი მუსიკა მახარებს მე, ნიჭიერ ბავშვთა ვარ მოქომაგე, მათთვის მოვედი ამ ქვეყნად მე და ისე წავალ, რომ გავზრდი ბევრს.

დავდივარ თბილისში, მდუმარედ ცრემლიანს, არავინ არაფერს არ მეტყვის მეტს. მე მიყვარს ქალები, მე მიყვარს მზე, მე მიყვარს მშობლები მიყვარხარ შენ.
ჰოდა რაღა გინდა, თუ დავდევ ღმერთს, ჰოდა რაღა გინდათ, თუ ვერ ვთმობ მეს.



ჩემ გოგონას

შენ ნუ განმსჯი ჩემო შვილო,
ნუ იმძიმებ მომავალში ოცნებას,
წინ იყურე და მიანდე ღვთის ნებას,
შენ ნუ განმსჯი ჩემო შვილო – ოცნებავ.

მიხარია, რომ გაგზარდე მეომრად,
შეგიძლია არ ემონო ცხოვრებას,
მიხარია, რომ გაგზარდე მეომრად
არ დაეცე, არ ემონო დროებას.

ჩემო შვილო, ჩემო ნაზო – ქართველო,
შენ დრო მოვა, მიხვდები და გამიგებ,
მაგრამ ვეჭვობ, მაპატიო და გიგებ,
გულით გლოცავ ჩემო ნაზო – ქართველო.

დრო ჩაივლის გაქრება,
ცაზე ვარსკვლავთ, ცეცხლი აკაშკაშდება,
მდინარენი ადუღდება, დაშრება
მაშინ შვილო მამაშენიც გაქრება.

არ იტირო, არ ინაღვლო პატარავ,
ჩვენი ბედი ასეთია ღვთისაგან,
მე შეგინდობ ყველა სიტყვას პატარავ,
დალოცვილი ბედისა ხარ ღვთისაგან.

ჩემს გულს შენი სიყვარული ათბობდა,
არ ვყოფილვარ მე გულცივი არასდროს,
ბედმა ბევრი მაბურთავა, გამწკეპლა,
მაგრამ ჩემს გულს შენი რწმენა ათბობდა.

მე არ ვიცი შენ რა გქვია

მე არ ვიცი შენ რა გქვია, თუმც კი მითხარი მგონია,
მაგრამ მე ვერ დავიჯერე, რა სუსტი გული მქონია;
შენს თვალებში ნაღველს ვხედავ, და ღიმილში სევდას,
შენმა მკერდმა ამაღელვა, თავს ვერ ვაღწევ სევდას.

გარშემო ვაზი დუდუნებს, ისმის ფოთოლთა მღერა,
როგორ გიმღერო ძვირფასო, რომ შენც ამღერდე ნეტავ?!
მინდა, რომ შენს სულს მშვენიერს კვლავაც უმღეროს ბედმა.
მინდა, რომ ლაზარე შობოს, შენი საშოთი ღმერთმა.

მინდა შეგვინდოს საწუთრომ ეს ჩვენი გულის ფეთქვა,
მინდა რომ შენ ჩემი იყო, ისე გიშველა ღმერთმა.
გულს შეეპარა ნაღველი, სულმა დაიწყო კვნესა,
მინდა, რომ შენთვის ვიმღერო, შენ კი გიშველა ღმერთმა.

შენს თვალწარბს ჩრდილში ერთხელაც,
მენახოს კიდევ ლხენა,
და მერე გინდა წაიღე, ჩემი ცხოვრება ფრთებად.
ვიფრინოთ ერთად, საწუთროს გავუზიაროთ ლხენა,
ცრემლები თვალზე შევიშროთ და გადავიქცეთ მტრედად.

რა მშვენიერი ქალი ხარ და როგორ გშვენის ფერი,
თვით მეფეთ საკადრისი ხარ, შენ გენაცვალოს მფერი.
მადლობას გიხდის ეს სული, რომ გააღვიძე მთვლემი,
ბევრ ჭირს უვლია ჩემს თავზე, ეხლა კი, შენთვის ვმღერი.

შენ გაიღიმე ოღონდაც და მოდი ერთად დავსხდეთ,
ერთურთს ამბორით ვუცქიროთ და მერე თუნდაც მოვკვდეთ.
ჩვენი ცხოვრება წამია, რისთვისღა გვბორკავს სევდა,
სიყვარულს მივცეთ სიცოცხლე, შენ კი გიშველა ღმერთმა.

თოვლიან მთათა მყინვარი, ნელა დაიწყებს დნობასა,
შენს მკერდში ჩახუტებული, ყველას ვუცხადებ ნდობასა.

დაცემულნო გაიღვიძეთ

მე ქართველი ვარ, სამშობლოდან არწივებისა და არწივების ქედმაღლური სისხლი მაწუხებს. მიყვარს ქართველი ვაჟკაცური შემართებისა, ვისაც მართალი
არც სიტყვა და საქმე აშინებს. მიყვარს მე კაცი გულმართალი და ყისმათმრთელი, ვისაც არავის კარგ ცხოვრება არა ჰგვრის გვრემას.

ვისაც ურჩევნის ჭიქა ღვინო და კარგი ქალი, ყოველ სიმდიდრეს და უფულოდ ვინც არ წუწუნებს. თქვენ გაგიმარჯოთ ქართველებო გამარჯვებისა, კიდევ დაუკრათ და არღანი დავატრიალოთ. დაცემულებო გაიღვიძეთ, მტერი მოგადგათ, დროა გალესოთ ჩაჟანგული ხმალი პაპათა, ფიცხლავ დავუდგეთ თუ კვლავ შეგრჩათ კუნთებში ძალა.

უფლის ნაჩუქარი სიყვარული
(ჩემს ნათელას)

ჩვენი შეხვედრა, სასწაული არის ღვთიური,
თვალები შეხვდნენ და სულებმა იცნეს ერთურთი,
ნატანჯმა გზებმა ერთმანეთი დაიძმობილეს,
და მშფოთვარემან, ჩვენთა სულთა სიმშვიდე ვპოვეთ.

მე ვერ ვძღებოდი ხვევნა-კოცნით,
ვერ ვჩერდებოდი, ერთ სიყვარულს
არ ვჯერდებოდი,
ხან აპოლონი დამარქვეს და ხან კაზანოვა,
მაგრამ მე მხოლოდ შენ გეძებდი,
ახლაღა მივხვდი.

შენს გვერდზე თავი ბავშვი მგონია,
მე ხან მეფე ვარ, ხანაც მონა,
ხან მბრძანებელი;
შენ კარგად იცი ჩემი გულის,
სწრაფვა, გრძნობანი და ცდილობ ჩემი
სურვილები, რომ გამოიცნო.

მე შენთან, სულის სიმშვიდე და სიწყნარე ვპოვე,
დავაცხრე, მერნის ჩემის უაზრო სწრაფვა,
ახლა ყველა გზა, შენსკენ მოდის და მიხარია,
რომ შეეჩვიე ჩემთა აზრთა, ბორგვას და სწრაფვას.



გვიანი სიყვარული

დღე მშვენიერი, ცისფერი ცა, ნისლის ღრუბელი,
ჩაწნულ ხვეულებს ცისფერ ცაზე, არ უჩანს ბოლო,
მაგრამ ვერ ხარობს, მომლოდინე გული ალალი,
თუმცა კი ვგრძნობდი, შენს არ მოსვლას, ჯერ კიდევ მაშინ.

სადღაც წავიდა სიგიჟმაჟე, მოუსვენარი,
სიდარბაისლემ გული ჩამწვა და გავხდი უტყვი,
თმათეთრი კაცი, ჭაბუკივით შეყვარებული,
შენს თვალებს ისევ, კვლავ დავეძებ მე მთვარეული.

ნეტავ სადა ხარ, სად ციალებს შენი ღიმილი,
და სევდიანი გამოხედვა, საით ლაციცობს,
ან, რატომ მღერის შენი ნატვრით მშფოთვარე სული,
შენი ალერსით, სიყვარულით მონატრებული.

დრო კი გაივლის, უძლურებას მოგვიტანს ქარი,
ხორცი დაჭკნება, ნაოჭები დაფარავს სახეს,
და სილამაზე დღევანდელი ისე გაქრება,
სადარდებელი გაგვიხდება თავშეკავება.

მაშ, მოდი ჩემთან, დავივიწყოთ დრო და წამები,
ერთურთს ჩავეკრათ, მოვიკრიფოთ კუნთებში ძალა,
და შევუხამოთ გულთა ფეთქვა ერთურთს ამაყი,
სიყვარულისთვის ღმერთს შევთხოვოთ, რომ მოგვცეს ძალა.

უახლესი ისტორია

დიდი ზვიადის წინააღმდეგ ხმლის ამოღება,
ძვირად დაუჯდა საქართველოს და
ქართველობას, ჯერ თენგიზ-ჯაბა წამოაჯდა
ტახტს უთვისტომო და საკუთარ ერს
შაჰ-აბასი ანატრებინა.

გადაუარეს სამეგრელოს, მთელ ამერ-იმერს
და გაბღინძულნი არ იკლებდნენ ქეიფს და ლხენას,
არად აგდებდნენ ქართველ ხალხთა პატიოსნებას,
ქურდული წესი დაამკვიდრეს საქართველოში.

მტერს მიეყიდნენ, სულიც გაყიდეს
და თვით სატანა ჩამოიყვანეს,
გვერდით დაუსხდნენ, თან აქებდნენ,
თან ეშინოდათ, თან ატყუებდნენ-ასე ეგონათ.

სატანა ტახტზე კარგად მოერგო,
შემოიცალა თენგიზ-ჯაბანი,
თვითონ აიღო ხელში ჯოკერი
და საქართველო დააჯაბანა.

ზოგი გაიქცა, ზოგი გაჰქრა,ზოგიც წავიდა,
ქრისტეს გზა, მხოლოდ ზვიადს მიეგო,
და ჩვენ დავდივართ საქართველოს აჩრდილებივით,
ჩვენი ზვიადი, მტერს ჩავუგდეთ გასაჯიჯგნავად.

ედუარდი-სატანათა მოდგმიდან, მძევლად იქცა
საკუთარი ცოდვების, ბაყაყივით გაიბერა, გასუქდა,
მისთა ცოდვით ცაც გაშავდა, საქართველო დაბნელდა,
მკრეხელობით გაითოშა, ქართულ სულთა სიმები.

გენერალ დუდაევს - კავკასიის არწივს!

კავკასიის არწივი ხარ, მთის ვაჟკაცი ქებული,
ჩეჩენ ხალხთა წინამძღოლი, ქართველების ძმობილი,
არასოდეს დაგივიწყებთ, ამოღებულ ხმალივით,
რომ იცავდი ჩვენს პრეზიდენტს კაჟივით.

ჩვენ ერთნი ვართ, კავკასიის შვილები,
ყველა ოჯახს გაერევა მახინჯიც,
მაგრამ ჩვენთა, ძმობას, დროში გამოვლილს,
ვერას ავნებს, უთვისტომო გამვლელი.

მტერი წავა, ვერ იხარებს მომხდური,
კავკასიის სალ კლდეებში ჩაკვდება,
ხელშემართულ დუდაევის საფლავთან,
მუხლს მოიყრის ღირსეული ქართველი.

სოროსის დასმულ ახალგაზრდა პრეზიდენტს

ორმოცდახუთ წლამდე, კაცი იმართება
წელს ქვემოთა ნაწილით,
აშლილია ოკეანე გრძნობების, ჭკუას სძალავს
სურვილები, ქალების,
გოგონების, დამების; ადვილია მისი გაბმა მახეში.

და ამიტომ, მეფეები ამ დღეში, ვარდებოდნენ
წარსულში,
და ამიტომ უჯერებდნენ უხუცესთ,
და ამიტომ მოიხმობდნენ საჭურისთ;
და ამიტომ ენდობოდნენ ბრძენთაბრძენთ.

ახალგაზრდა, ენერგიით აღსავსე, ბრძოლაშია საჭირო,
ახალგაზრდა, ენერგიით აღსავსე, შეგირდია საჭირო,
ახალგაზრდა, ენერგიით აღსავსე, მიჯნურია საჩინო,
ახალგაზრდა, ენერგიით აღსავსე, მორწმუნეა საჭირო.

და თუ ბედმა, ხელში მოგცა, საჭე ქვეყნის მართვისა,
და თუ შენს თმას, ჯერ არ უჩანს ჭაღარა,
და თუ გრძნობებს ვერ იოკებ, გაწვალებს,
დაუჯერე ბრძენთა, შენთა ვასალებს.

არ იჩქარო, ნაბიჯები, მოზომილად გადადგი,
ყველა საქმე ჩააბარე მამათ, ბრძენთ,
შვიდჯერ ზომე, სანამ, რამეს გაჭრიდე,
დაუნდობლად, მტერი დანით გათალე.

ზოგჯერ, შენდობა მტერსაც გიძმობს და
ზოგჯერ, არა;
ზოგჯერ, სიმკაცრე დაფასდება და
ზოგჯერ, არა;
ზოგჯერ,სიმდიდრე დაფასდება და
ზოგჯერ, არა;
ზოგჯერ, სიუხვე მტერს გიმრავლებს და
ზოგჯერ, არა;
ზოგჯერ, სწავლაა გადამწყვეტი და
ზოგჯერ, არა.

და ზოგჯერ არა, რომ გაიგო გინდა ბრძენობა,
და ზოგჯერ არა, რომ გაზომო გინდა ბერობა;
და ზოგჯერ არას, თუ ვერ მართავ დაიღუპები,
და შენს ქვეყანას დაუტოვებ დუშმანს საჯიჯგნად.

იყავი ბრძენი, დაიოკე შენი ვნებები,
გაითავისე, რომ შენა ხარ დღეს წინამძღოლი,
შენი ყოველი ნაბიჯი და ყველა შეცდომა,
შენს ხალხს მოუსპობს მომავალს და საწუთროებას.

ღმერთმა გარგუნა პირველობა, პირველთა შორის,
ღმერთის რჩეულო, შენ მოჰკვეთე თავი გველეშაპს,
მაგრამ, ბევრი გყავს მოშურნე და ალალი მტერი,
ბრძენნი მოიხმე, პატრიოტნი არა სოროსი.



გზააბნეული პრეზიდენტი

ვერ ვიცილებ ოცნებებს და ლექსებს,
ნაზი სული, ისევ ისე ბორგავს,
არც კი იცის ზოგჯერ რისთვის, რატომ,
თვალზე ცრემლი მადგება და ვტირი.

წლებმა თმებში ჩამოთოვა თეთრად,
თვალებში კი გაჩნდა ნაღვლის ფერი,
შევეჩვიე თითქოს დარტყმებს, ღალატს,
არ მაკვირვებს შავი ძალის ჯერი.

კაცთა ცოდვებს ვეღარ უძლებს ცანი,
მოიქუფრა შავად, ძაძით ტანი,
გველეშაპად გადაიქცა გმირი,
ვეღარ ვუძლებ, ზოგჯერ მწარედ ვტირი.

არ გაუშვა ქალი გვერდით მჯდარი, აიხდინა ოცნებები ბავშვის, კაპიტანი კომპლექსებში მჯდარი, ნავი მიდის ფსკერისაკენ განსჯის და ხითხითებს ანტიქრისტე შავი, ლგბტ გამეფდება მაშინ, მოვატყუე გავაბრიყვე ბავშვი.

პაპის ნათქვამი სადღეგრძელოები

დედის სადღეგრძელო

ცხრა თვე მუცლით გატარებდი,
ვაით გშობე უით გზარდე
და რად გიკვირს ყველა ქალზე,
უფრო დედას რომ უყვარდე.

ქალი მამას ქმარზე გაცვლის,
ცოლი ქვრივი სხვას გაჰყვება,
მაგრამ დედას შვილის დარდი,
სამარეშიც თან ჩაჰყვება.

ომში დაღუპულების სადღეგრძელო

რაც გაგშორდი შვილო შემდეგ,
შავი ფიქრი გულს მიბურავს,
ვათუ გშია, ან გწყურია
ან გცივა და არა გხურავს.

ვათუ გდიხარ ბრძოლის ველზე,
გულს გასვია მტრის ისარი,
რომ წყლულები შეგიხვიოს
დედაშენი არსად არის.

ვათუ შენსა ხუჭუჭ ქოჩორს,
ყვავი კორტნის ან ყორანი,
და უნაღვლოდ, უპატრონოდ
დაგხვიხვინობს თავს მერანი.

სიკეთისა და მეგობრობის სადღეგრძელო

მდიდარო კაცო,
შენ ისევ მართალი ხარო,
დაგპატიჟებ, სუფრის თავში ზიხარო,
თუნდ ტყუოდე, მაინც მართალი ხარო.

ღარობო კაცო, შენ ისევ საწყალი ხარო,
თუ გნახავენ საქმეს ცოტა არეულს,
დაგარქმევენ ჭკუათხელს - გადარეულს,
ტკბილეულის მაგივრადა, შეგაჭმევენ მწარეულს.

ქვეყანა ჩალად არა ღირს,
სიმდიდრე ვალად არა ღირს,
მდიდარი კაცის ცხოვრება,
ერთ მორთულ ქალად არა ღირს.

წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,
თუ ერთმანეთს არ ვახარებთ,
ამის მეტი რა შეგვრჩება.

დარდი

ციდან საშინელი გრგვინვა ისმის,
სისხლიანი დემონები ეშვებიან,
ღმერთო დაიფარე საქართველო,
ხავსით არემარეს ედებიან.

ცაში აპყრობილი მზერა, გულში გარჭობილი დარდი,

ცაში გასროლილი გული, სულში დახრჩობილი დარდი,

ცაში ასროლილი ბურთი,შენი გაელვება მარდი,

ცაში აპყრობილი მზერა, გულში დამწყვდეული დარდი.

ყვავილად მტირალი ქარაფები, ნაზად მომზირალი კლდეები,

ცრემლად დაღვრილი ყინულები, ქალად მომზირალი იები.

არავის დატოვებს დამშვიდებით, აანთებს გულებს გაიელვებს,

გინდა მოეფერო, რუდუნებით, მაგრამ სად მიწვდები
ცისარტყელებს?!

ცაში აპყრობილი მზერა და რწმენით მოპყრობილი თვალები,

ცაში ატყორცნილი სიყვარული, გული დადაღული დარდით,

ციდან მომზირალი ანგელოსი, ნურავის აავსებთ დარდით,

სხვისთვის გაგზავნილი სიყვარული, უკან გიბრუნდებათ ვარდით!

ქსნელებს

თქვენი ჭირიმეთ ქსნელებო,
გულს ნუ გაიტეხთ გვაცალეთ,
ქარჩოხს ჩვენ არვის დავუთმობთ,
მომხდურებსა და ვასალებს!

ლორწომის ქედო, მრავლის მოწმე ხარ
შენს ძირში ბევრ მტერს მოაჭრეს ენა,
მაგრამ დღეს ობლად, მტირალი დგეხარ,
კვლავაც იქნება მტრის სისხლთა დენა.

ავწიოთ ჭიქა სამშობლოსთვის დაღუპულ ვაჟთა,
არავინა თქვას, რომ დავივიწყებთ წინაპართ კაჟთა.
მათი საქმენი, საგმირონი ლეგენდად დადის,
ტანკით უვლიან ვაჟკაც ქსნელებს ურდო მამაის.

ვერ ათქმევინეს ძვირი ქვეყნის და ვერ გატეხეს,
მტრის დივიზიას ცეცხლის ალით გადაუარეს.
ტყვედ რომ ჩაიგდეს, მერე ტანკით გადაუარეს,
მაგრამ ქსნელები არ ნებდებიან და ვერ გატეხეს!